



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის

დასახელება: მედიცინა

უსდ-ს სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2019 წლის 1-2 მაისი

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 2019 წლის 13 ივნისი

თბილისი 2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიჰაი ბოროში ზეგედის უნივერსიტეტი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ზარნაძე, პეტრე შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გვაზავა, დოქტორანტი, მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჰოსპიტალი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქ. თბილისის ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში "დაწესებულება") საბაკალავრო პროგრამის "მედიცინა" რეზიუმე შედგენილია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ დანიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულების საექსპერტო მიმოხილვაზე დაფუძნებული შეფასება განხორციელდა (1) თვითშეფასების ანგარიშის, (2) დართული დოკუმენტაციისა და (3) დაწესებულების ადგილზე ვიზიტის საფუძველზე.

1. თვითშეფასების ანგარიში შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ხარისხის განსაზღვრისათვის საჭირო მონაცემთა საკმარის რაოდენობას. ინფორმაცია, ასევე, შეკრებილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციიდან. დოკუმენტების ეს კრებული, მათ შორის კურიკულუმი, წარმოადგენს სასწავლო კურსების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, ძირითადი და არჩევითი კურსების აღწერას და ECTS კრედიტების რაოდენობას თითოეული კურსისათვის. ასევე, წარმოდგენილია კურსების სილაბუსები, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობა, ტუტორების შესახებ ინფორმაცია მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (CV) მითითებით. აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ადგილზე ვიზიტამდე.

2. დაწესებულებაში ვიზიტის დროს დოკუმენტაციის ანალიზი გაფართოვდა დამატებითი მონაცემების ხარჯზე (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული 2018 წლის "ავტორიზაციის ანგარიში"). გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა იმის შეფასების შესაძლებლობა თუ როგორ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ 2018 წლის ნოემბრით დათარიღებული წინა ექსპერტთა ჯგუფის წინადადებები და რეკომენდაციები (როგორც ეს ნაჩვენებია თვითშეფასების ანგარიშის 39-ე გვერდზე).

3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა, რომ მონაცემები მოიცავს საკმარის და დასაბუთებულ ინფორმაციას პროგრამის ხარისხის, კურსების შინაარსის, მიწოდებისა და შეფასების თაობაზე.

დაწესებულების საბაკალავრო "მედიცინის" პროგრამის დაწყება დაგეგმილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის (ყოფილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინჟინერიის ფაკულტეტი) მიერ ინგლისურ ენაზე. თვითშეფასების ანგარიშის სტატისტიკის თანახმად, სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ამჟამად 39-ია, გარე მოწვეული პერსონალისა - 42, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა - 7. პირველ მიღებაზე აბიტურიენტთა/სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 50-ით (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით). აღსანიშნავია, რომ პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, ამიტომ სტუდენტთა და სხვათა (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა) გამოხმაურება არ იყო ხელმისაწვდომი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და ორგანიზება გაუწია შეხვედრებს შემდეგი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან:
- დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან, რექტორთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან,

- თვითშეფასების ანგარიშის გუნდთან, მათ შორის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წევრებთან.
- სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელთან,
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან,
- მოწვეულ პერსონალთან,
- სტუდენტთა წარმომადგენლებთან, ანუ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის ფაკულტეტის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან.

2019 წლის 1 მაისს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოკლე ვიზიტი დაწესებულების კლინიკური სწავლების ობიექტებზე (სამედიცინო ცენტრი "ინოვა" და სიმულაციურ ცენტრში მედიკლავ-ჯორჯია), ხოლო 2019 წლის 2 მაისს კვლევით ობიექტებზე, ლაბორატორიებში, სალექციო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, დაწესებულების სიმულაციურ ცენტრში და შენობის სხვადასხვა ნაწილებში, სადაც განხორციელდება მომავალი სამედიცინო პროგრამა. ამასობაში, ჩატარდა მოკლე ინტერვიუები პერსონალთან და ბოლოს, შემაჯამებელი შეხვედრა ჩატარდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, რათა გაგვეცნო მათთვის ანალიზის შედეგები და ძირითადი დასკვნების მოკლე მიმოხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დისკუსია და შეხვედრა ჩატარდა უაღრესად კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დაწესებულების სამედიცინო პროგრამა შეფასებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების შესაბამისად (რომლებიც მოწოდებულ იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). ამ თვალსაზრისით, გარე ხარისხის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხ-საკითხ იქნა შეფასებული საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი, საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესები, სწავლის მეთოდები, ობიექტები, რესურსები და ტექნიკა, შეფასების პროცესი და სწავლების საბოლოო პროდუქტის კრიტერიუმები. ჯგუფის ექსპერტებმა გამოთქვეს საერთო აზრი, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტმა წარმოაჩინა პრეკლინიკური სწავლებისა და ძირითადი სამედიცინო კვლევების მტკიცე საფუძველი და უზრუნველყოფს კლინიკური კურსების დაწყებისათვის სტაბილურ ფონს, ევოლუციური გზით დინამიურად განვითარების შესაძლებლობით. არსებობს, ასევე, მტკიცებულება იმისა, რომ ჩარიცხული სტუდენტები სწავლის პირველ წლებში შეიძენენ მაღალი დონის პროფესიონალიზმსა და პრობლემის მოგვარების უნარებს, რაზეც შემდეგში დაშენდება კლინიკური სწავლება და შემდგომი სამედიცინო პრაქტიკა. არსებული მდგომარეობით ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა დაწესებულების ბევრი ძლიერი მხარის იდენტიფიცირება, როგორცაა:

- ძლიერი და მტკიცე ხელმძღვანელობა მკაფიო ხედვით;
- კეთილგანწყობილი და კარგად მომზადებული ადმინისტრაცია;
- ენთუზიაზმი და მაღალი დონის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- დაინტერესებული, კარგი დონის კლინიკური პერსონალი;
- საერთო ჯამში პერსონალის ერთგულება სწავლებისადმი;
- ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა ძირითადი სამედიცინო მეცნიერებებისა და პრეკლინიკური კურსებისათვის;
- პროგრამა შესაძლოა დაშენდეს საერთაშორისო აღიარების მქონე უნივერსიტეტის არსებულ, ავტორიზებულ საგანმანათლებლო სტრუქტურაზე.

თუმცა, არის გარკვეული საკითხები, რომლებშიც პროგრამა ან მისი კომპონენტები, როგორც ეს ქვემოთაა მოტანილი, არ არის სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი სრულადაა დარწმუნებული, რომ დაწესებულებას აქვს ამ ხარვეზების უახლოეს მომავალში გამოსწორების უნარი.

▪ რეკომენდაციები

1. ფაკულტეტმა სათანადოდ უნდა განსაზღვროს საბოლოო სწავლის შედეგები კლინიკურ კურსებში კომუნიკაციის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი

დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ. საჭიროა პაციენტებისა და მათი ნათესავების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ურთიერთობა და კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება. ადაპტირებული ჩარჩო აცნობებს ჩარიცხულ სტუდენტებს თუ რას მოელიან მათგან - ამგვარად, აუცილებელია საკომუნიკაციო უნარების კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც უნდა აითვისონ სტუდენტებმა წინასწარ დადგენილ ვადებში და სასწავლო პროგრამის დასასრულისათვის.

2. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულენოვან სწავლებას და კომუნიკაციის უნარს ქართულ ენაზე.
3. საჭიროა კლინიკური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია საწოლთან კლინიკურ სწავლებაში. ეს გაზრდა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვის რეგულირებისა და

მომავალ წლებში სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით ამ თვალსაზრისით, დატვირთვის მინიმუმის, აკადემიური კვალიფიკაციების, კომპეტენციების რეგულირება კურსებთან მიმართებაში, ასევე, უნდა იყოს განსაზღვრული და დადგენილი კლინიკური პედაგოგიური პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის.

4. ცალკე უნდა დადგინდეს კლინიკურ მენტორებად წამოყენებისა და მათი კვალიფიკაციების წესები.
5. დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 6 წლის განმავლობაში აფილირებულ ხელმძღვანელთა (შესაბამისი ხელშეკრულების მქონე პროფესორთა) საჭირო რაოდენობა.
6. პრე-კლინიკური სიმულაციური პრაქტიკა მისაღებია, თუმცა კლინიკურ კურსებში სტუდენტთათვის რეალური კლინიკური შემთხვევებისადმი ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და საწოლთან პრაქტიკული სწავლების დრო მკაფიოდ განსაზღვრული.
7. კონკრეტულ კურსებს ან საგნებს შორის გადაფარვა თუ დუბლირება ყურადღებით უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში ჩასწორდეს.
8. პრაქტიკული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რომელსაც გააჩნია საკმარისი გამოცდილება და შეუძლია გაუზიაროს უნარები და ცოდნა სხვებს. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დაფიქსირებული პირად ჩანაწერებში.
9. პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, ისევე როგორც სამედიცინო განათლების ინტეგრირება მთლიანად ინსტიტუტისა და ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესები და საფაკულტეტო წესები ან გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო ერთეულებს შორის სახსრების შიდა განაწილების თაობაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. "მედიცინის" პროგრამის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა დაწესებულების მმართველობაში და ახალი ფაკულტეტის ორგანოებში; შეთავაზებულია აქტიური დახმარება უცხოური სტუდენტური ასოციაციების მხრიდან (მათი მონაწილეობა სტუდენტურ თვითმმართველობაში). დაინტერესებული მხარეები, სტუდენტთა ახალი ჯგუფების თვალსაზრისით, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის წესებისა და რეგულირებების თაობაზე.
2. "მედიცინის" პროგრამის წარმომადგენლობა დაწესებულების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში უნდა დარეგულირდეს და უსდ-ს ახალი ორგანიზაციული სქემა (ანუ ორგანიგრამა), მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ახლად დაარსებული ნაწილები, წარმომადგენილი უნდა იყოს ვებ-საიტზე.
3. სტუდენტის ინდივიდუალურად შემუშავებული ტექნიკური და პროცედურული უნარები და საწოლთან კლინიკური პრაქტიკისადმი მათი ხელმისაწვდომობა უნდა გაძლიერდეს და გახდეს გარანტირებული.
4. კავშირი სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის (რომლებიც კარგადაა განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში) შესაძლოა უკეთ იქნეს აღწერილი სილაბუსებში; სწავლის შედეგების უფრო გამჭვირვალე და ზუსტი შეფასებისათვის რეკომენდებულია შეფასების კომპონენტების და

კრიტერიუმების ზუსტად განსაზღვრა - განსაკუთრებით კლინიკური კურსების სილაბუსებში.

5. კლინიკური მუშაობა მოიცავს კლინიკური უნარების განვითარებას სიმულირებულ ან/და კლინიკურ გარემოში. სიმულაცია და სტუდენტებისათვის სიმულაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა შეესაბამება კარგ გამოცდილებას, მაგრამ მიზანი არ უნდა იყოს ამ in vitro მეთოდებზე მეტისმეტი დაყრდნობა. თუ შესაძლებელია, უნდა გაიზარდოს კლინიკური სწავლების წილი.
6. საჭიროება დადგება ფაკულტეტის კვლევითი ერთეულების უკეთესი კავშირებისა სხვა სასწავლო და ჯანდაცვის ერთეულებთან, კავშირების განმტკიცებისა კლინიკურ პრაქტიკასთან.
7. შეთავაზებულია კლინიკურ კვლევებში კლინიკური პერსონალის ჩართულობის გაზრდა.
8. შეთავაზებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტისათვის სწავლების სტრატეგიასთან დამატებით მეცნიერების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა. კვლევასა და სწავლებაში წარმატების

აღიარებისათვის სქემები ჯერ შეიძლება დაიგეგმოს, ხოლო შემდეგ განხორციელდეს, მაგალითად, სწავლების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების მეშვეობით.

9. შეთავაზებულია დაწესებულების საკუთარი უნარების ცენტრისათვის სტრატეგიის შემუშავება.
10. დეპარტამენტების უფროსებს შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიური ანგარიშები, რომელთაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა ე (არსებობის შემთხვევაში)

-

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ წინა შეფასებაში (2018 წლის) ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება სრულად აცნობიერებს მსგავსი გარე შეფასებების მნიშვნელობას. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობისა, კურიკულუმის სტრუქტურის, სწავლებისა და შეფასების მუდმივი და ეტაპობრივი ცვლილება აუცილებელია. ეს უკეთესია ვიდრე მკვეთრი რეფორმები, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ფაკულტეტის ფუნქციონირებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. დაწესებულებას ზუსტად და მკაფიოდ აქვს განსაზღვრული საკუთარი მისია; ახალი "მედიცინის" პროგრამის მიზანია, რომ მიაწოდოს მომავალ მედიკოს სტუდენტებს ღრმა, პრაქტიკაზე დამყარებული ცოდნა ყველა უნარებით, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვაში ჩასართველად როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში. იგი ფოკუსირებულია არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ კარგად განსაზღვრული კომპეტენციების შექმნაზე, რომლებიც საჭიროა კლინიკური პრაქტიკისა და ცხოვრების მანძილზე პროფესიული უნარების განვითარებისათვის.

2. პროგრამა მთლიანობაში თანხვედრაშია ევროპის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS) და შეესაბამება საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტებს: იგი არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ კომპეტენციებზეა დაფუძნებული. მიზნები რეალისტური და მიღწევადია, მკაფიოდ აჩვენებს წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონაზე და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შრომის ბაზარზე გაკეთებული აქცენტი მყარდება იმ ფაქტით, რომ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, იცნობს დარგის მიმდინარე ტენდენციებსა და გამოწვევებს. გარდა ამისა, პროფესიული ორგანიზაციებიდან გამოხმაურება, ასევე, იქნა გათვალისწინებული შემუშავების პროცესში - მოკლედ, მიზნები სრულადაა გაზიარებული პროგრამის ინიცირებაში ჩართული მხარეების მიერ.

3. პროგრამის მიზნები სწორადაა აღწერილი, მაგრამ დაწესებულების ხედვა უკეთ უნდა იყოს გამოხატული. კერძოდ, ხაზგასმული უნდა იყოს განსხვავება მსგავს დაწესებულებებს შორის, რით იქნება დაწესებულება უკეთესი არჩევანი მომავალი სტუდენტებისათვის, ვიდრე დარგში უკვე მოქმედი დაწესებულებები? რა სპეციფიკაზე (მაგალითად "საბაზისო მეცნიერება" თუ "კლინიკური სწავლება") იქნება აქცენტირებული მომავალში? ან, რომელ პრიორიტეტულ სფეროში (მაგალითად "მოლეკულური ბიოლოგია", თუ "კარდიოლოგია" და სხვ.) წარმოდგენიან მათ განვითარება?

4. ვებ-საიტი მოსახერხებელია და ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას მოხილობასთან დაკავშირებულ გარკვეულ პროექტებთან (მაგალითად ერაზმუსი), დაწესებულების ისტორიასთან, ხედვასთან და მისიასთან, ასევე, სასწავლო პროგრამების ბევრ სხვა მნიშვნელოვან დეტალთან. შეთავაზებულია, რომ ეს კარგი პრაქტიკა გავრცელდეს "მედიცინის" პროგრამაზეც.

5. პროგრამის კომპონენტები ჰარმონიულად შეესატყვისება დაწესებულების მისიის განაცხადს და ლოგიკურად თანამიმდევრულია, თუმცა, პრაქტიკაზე დამყარებული ასპექტები, კლინიკური საგნების პრაქტიკული ნაწილები და უფრო ზუსტად, სტუდენტების

ინდივიდუალურად შემუშავებული ტექნიკური და პროცედურული უნარები და მათი მხრიდან საწოლთან კლინიკური პრაქტიკის ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს გაძლიერებული და გარანტირებული.

6. იმის გამო, რომ სწავლების ენა ინგლისურია და დაგეგმილია სტუდენტთა უმრავლესობის (90%) უცხოელი მოქალაქეების მიღება, რეკომენდებულია განსაკუთრებული სასწავლო კურსები (ქართული ენის კურსებთან ერთად) სამედიცინო კომუნიკაციისათვის და მონათესავე სფეროებში (როგორცაა ეთიკის პრინციპები, ანამნეზის შეკრება, ან საოჯახო მედიცინის კომუნიკაციები) ქართულ ენაზე, სავარაუდოდ სიმულირებული

პაციენტების დახმარებით, რაც, ასევე, უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები გაითავისებენ სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს და ეთიკურ ღირებულებებს, რომლებიც ასრულებენ გადამწყვეტ როლს თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში.

7. "მედიცინის" პროგრამის წარმომადგენლობა დაწესებულების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში (სენატი) უნდა დარეგულირდეს და უსდ-ს ახალი ორგანიზაციული სქემა (ანუ ორგანიგრამა), მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ახლად შექმნილი ნაწილი და მათი ორგანიზაციული კავშირები ყოფილ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის ფაკულტეტთან უნდა იქნეს წარმოდგენილი ვებ-საიტზე.

8. დაინტერესებული მხარეები, სტუდენტთა ახალი ჯგუფების თვალსაზრისით, უნდა იქნენ ინფორმირებულნი დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის წესებსა და რეგულირებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია - <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- მედიცინის ერთციკლიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- დამსაქმებელთან გაფორმებული მემორანდუმები
- შრომის ბაზრის ანალიზი და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები (2018 წელი);
- მედიცინის, ფარმაცევტთა და სოციალური დაცვის ერთიანი პროფესიული კავშირის 2017 წლის შრომის ბაზრის ანალიზი;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების კონპონენტების 2015 წლის კვლევა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ქართველი და უცხოელი კონსულტანტების მიერ ჩატარებული გარე შეფასების ანალიზი;
- ბრძანება N 3632-03 05/12/2018 სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მრჩეველთა საბჭოს შექმნის თაობაზე;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დეკანთან, რექტორთან და დამსაქმებელთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა დაწესებულებისა და ახალი ფაკულტეტის მართვის ორგანოებში. დაინტერესებული მხარეები, სტუდენტთა ახალი ჯგუფების თვალსაზრისით, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის წესებისა და რეგულირებების თაობაზე.

"მედიცინის" პროგრამის წარმომადგენლობა დაწესებულების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში (სენატში) უნდა დარეგულირდეს და უსდ-ს ახალი ორგანიზაციული სქემა (ანუ ორგანიგრამა), მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ახლად დაარსებული ნაწილები და მათი ორგანიზაციული კავშირები ყოფილ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის ფაკულტეტთან უნდა იყოს წარმოდგენილი ვებ-საიტზე.

პრაქტიკაზე დამყარებული ასპექტები, კლინიკური საგნების პრაქტიკული ნაწილები და უფრო პირდაპირ - სტუდენტთა ინდივიდუალურად შემუშავებული ტექნიკური და პროცედურული უნარები და მათი ხელმისაწვდომობა საწოლთან კლინიკურ პრაქტიკაზე, უნდა გაძლიერდეს და გახდეს გარანტირებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურიკულუმი ორგანიზებულია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მიმართულებებში და გარდა ამისა, აქვს ასევე სპირალური მახასიათებლები. ეს სტრუქტურა გარკვეულწილად აძნელებს ანალიზს, თუმცა ზოგადად, სწავლის შედეგები (LOs) მკაფიოდ და ლოგიკურადაა გავრცელებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ფაკულტეტის მიერ კარგადაა განსაზღვრული მიკრო (ლექციის/პრაქტიკული მეცადინეობის) დონეზე და ძირითადად შეესაბამება შესადარებელი უმაღლესი სასწავლებლების სწავლის შედეგებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ არსებობს მონაცემები შესრულებაზე, გამომხაურების ინდიკატორები კურსდამთავრებულებისაგან.

1. სავალდებულო და არჩევითი კურსების ყველა სილაბუსი იძლევა ნათელ ინფორმაციას პროგრამის შესახებ, ასევე ყველა კურსის ერთობლიობას, თითოეული კურსისთვის მინიჭებული ECTS კრედიტებით. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერენ მინიმალურ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის დამთავრებისათვის.

2. სწავლის შედეგების გასაზომად დაწესებულება იყენებს რამდენიმე მეთოდს. კურიკულუმის რუკა იძლევა საკმარის ინფორმაციას სასწავლო კურსების ბმასთან დაკავშირებით სწავლის შედეგებთან, დამატებითი გაზომვის გეგმებსა და შედეგების სამიზნე ნიშნულების თაობაზე კონკრეტული კურსების ფარგლებში. სწავლის შედეგები მკაფიოდ და მიღწევადია, გაზომვადი და რეალისტურია და ემყარება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ შემუშავებულ დარგის სამიზნე ნიშნულებს.

3. ყველა სათანადო დაინტერესებული მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მონათესავე დარგების სტუდენტები) მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში და შესაბამისად - სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. ფოკუს-ჯგუფების კვლევა განხორციელდა დამსაქმებლებთან; ასევე, გამოყენებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს მოსაზრებები და საერთაშორისო ექსპერტების გამოხმაურებები.

4. სწავლის შედეგები ფასდება თანამიმდევრულად და გამჭვირვალედ, რეგულარულ საფუძველზე, ხოლო შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. იგი იყენებს რელევანტურ შეფასების ფორმებს, შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს.

5. კავშირი სწავლის შედეგებსა და სხვადასხვა კურსებს შორის კარგადაა აღწერილი, ისევე,

როგორც სწავლის შედეგების შესაბამისი დონე (I-შესავალი, P-პრაქტიკა ან M-მაგისტრი), თუმცა ეს კავშირები ნაკლებად ჩანს სილაბუსებში.

6. თითოეული სწავლის შედეგისათვის წარმოდგენილია კარგად განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების კომპლექტი, რომელთა მიღწევა ფასდება პროგრამის სასწავლო კომპონენტებში განხორციელებული აქტივობებით და აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასებით. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში დაწესებულებამ იხელმძღვანელა ECTS კრედიტებით, განიხილა ნიშნების კონვერსიის ევროპის ქვეყნების ლოგიკა და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგები. გარდა ამისა,

დაწესებულებას გააჩნია "მედიცინის" პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან მათი შედარების კარგად დადგენილი გეგმა. ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების მსვლელობაში ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

7. თუმცა, მიუხედავად ამ შესაბამისობისა, ფაკულტეტმა ვერ წარმოაჩინა ადეკვატურად კონკრეტული საბოლოო სწავლის შედეგები კომუნიკაციის ცოდნასთან, უნარებთან და დამოკიდებულებასა თუ ქცევასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებელია შეფასების სისტემის ან კურიკულუმის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება გახადოს საჭირო. კომუნიკაცია განსხვავებული ასაკის პაციენტებთან და მათ ნათესავებთან საჭიროა გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ დღეისათვის კომუნიკაციის უნარების სწავლის შედეგები მეტად ფართოა და არაა საკმარისად სპეციფიკური ფაკულტეტის სასწავლო პროგრამისათვის.

8. დაწესებულებას აქვს "მედიცინის" პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების გამოყენების გეგმა პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც ნიშნავს, რომ თუ საჭიროა, პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები ან შეფასების სისტემა შეიცვლება. აქ, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ასეთი მოდიფიცირების შესაძლებლობისა, კურიკულუმის სტრუქტურის, სწავლებისა და შეფასების ეტაპობრივი შეცვლა უმჯობესია, ვიდრე მკვეთრი რეფორმები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ფაკულტეტის ფუნქციონირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების რეგულაცია;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლის მონიტორინგისა და შეფასების კონცეფცია
- სტუდენტის სამედიცინო პორტფოლიო
- შეხვედრების ოქმები
- საერთაშორისო ექსპერტების მიმოხილვები
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო
- მრჩეველთა საბჭოს რიგი წევრების გამოხმაურებები
- ელექტრონული სისტემა "არგუსი" უზრუნველყოფს არჩევანის გაკეთების გარემოს
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რექტორთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

ფაკულტეტმა უნდა განსაზღვროს ადეკვატურად კონკრეტული საბოლოო სწავლის შედეგები კომუნიკაციის ცოდნასთან, უნარებთან და დამოკიდებულებასა თუ ქცევასთან დაკავშირებით. კლინიკურ საგნებში საჭიროა კომუნიკაცია განსხვავებული ასაკის პაციენტებთან და მათ ნათესავებთან, ისევე, როგორც კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება. ადაპტირებული ჩარჩო აცნობებს ჩარიცხულ სტუდენტებს თუ რას მოელიან მათგან - ამგვარად, აუცილებელია საკომუნიკაციო უნარების კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც უნდა აითვისონ სტუდენტებმა წინასწარ დადგენილ ვადებში და სასწავლო პროგრამის დასასრულისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

კავშირი სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის (რომლებიც კარგადაა განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში) შესაძლოა უკეთ იქნეს აღწერილი სილაბუსებში; სწავლის შედეგების უფრო გამჭვირვალე და ზუსტი შეფასებისათვის რეკომენდებულია შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების ზუსტად განსაზღვრა - განსაკუთრებით კლინიკური კურსების სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ პროგრამა ახალია, ხოლო სტუდენტთა გამოხმაურებები ჯერ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, უსდ-ს ოფიციალური განცხადების თანახმად, დაშვების კრიტერიუმები სწორად იქნება გამოცხადებული ფაკულტეტის ვებ-საიტზე, შესაბამის ვებ-გვერდებსა და ბროშურებში. ეს კრიტერიუმები სამართლიანია, გამჭვირვალე და შეესაბამება ქვეყნის რეგულაციებს.

1. წლიური მიღების კვოტა იგეგმება დაწესებულების მიერ ფაკულტეტის პედაგოგიური სიმძლავრის შესაბამისად. პროგრამა გათვლილია 50 სტუდენტის მიღებაზე (ეს არ ითვალისწინებს გარიცხვებს) და ძირითადად, იგივე რაოდენობის მიღებაა მოსალოდნელი მომავალი წლისათვისაც.

2. სტუდენტების დაშვება (დაახლოებით 90% უცხო ეროვნების) ეფუძნება საშუალო სკოლის ატესტატებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებს (მხოლოდ ქართველი სტუდენტების შემთხვევაში). ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პიროვნებამ უნდა ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა ქიმიაში და ბიოლოგიაში, ასევე, დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა. აბიტურიენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, ენების ზოგადი ევროპული ჩარჩოს შესაბამისად, უნდა იყოს მინიმუმ B2. აბიტურიენტები, რომელთა მშობლიური ენა არის ინგლისური, ან განათლება აქვთ მიღებული ინგლისურენოვან სკოლაში/უნივერსიტეტში იმ ქვეყნებში, რომლებშიც ინგლისური ენა ოფიციალურ ენადაა აღიარებული, თავისუფლდებიან ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან.

3. აბიტურიენტებისათვის, რომლებიც არ აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, არსებობს უსდ-ს რეგულაციები ქიმიასა და ბიოლოგიაში ცოდნის შეფასების მეთოდებისა და ამ საგნებში დამაკმაყოფილებელი დონის განსაზღვრის (ჩაბარების/ჩაჭრის კრიტერიუმები) თაობაზე, როგორც დაშვების წინაპირობისა.

სტუდენტების/სასწავლო წლების რეალური რაოდენობა დამოკიდებულია ადამიანურ და სხვა (ინფრასტრუქტურა) სასწავლო რესურსებზე. ადრეული გაფრთხილების სახით - სასწავლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა ყოველთვის წინასწარ უნდა დაიგეგმოს ფაკულტეტის საბჭოს მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღებაში. ფაკულტეტის პერსონალის არსებული დატვირთვის, განსაკუთრებით კლინიკურ პედაგოგთა დატვირთვის კონტექსტში, ახალი პერსონალის აყვანის საჭიროებასთან ერთად, სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის დაშვება შეიცავს მნიშვნელოვან რისკს განათლების ხარისხის შემცირების კუთხით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ვებ-საიტი
 - პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები (კრიტერიუმები და პროცედურები);
 - ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები
 - თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ ეხება**
- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: **1.** საბაზისო სამედიცინო სწავლება (I-III წლები) ანუ პრე-კლინიკური დონე, რომელიც მოიცავს სიცოცხლის მეცნიერებებსა და ორგანიზმის სისტემების შემსწავლელ დისციპლინებს და თანაც სტუდენტები ინვიტარებენ პროფესიონალიზმს, კომუნიკაციის, კლინიკურ და სამეცნიერო უნარებს; და **2.** ადრეული კლინიკური აქტივობა - ეტაპი, რომელიც აქცენტირებულია კლინიკური კომპეტენციებისა და უნარების ღრმა განვითარებაზე (IV-VI

წლები). ეს საფეხური მოიცავს კლინიკური მუშაობის პრაქტიკას, ისევე, როგორც საბაზისო დისციპლინების სიღრმისეულ სწავლებას და მედიცინის ძირითად ღირებულებებს, საკომუნიკაციო და სამეცნიერო უნარების განვითარებას. პრე-კლინიკურ ეტაპზე, ელემენტების ჰორიზონტალური ინტეგრაცია გამოიყენება ისევე, როგორც ვერტიკალური ინტეგრაცია. კურიკულუმი ორგანიზებულია სავალდებულო და არჩევითი კურსებით (მოდულებით), რომელთა მეშვეობით სწავლის მიზნების საბოლოო და უმაღლესი დონე მიიღწევა პრაქტიკულ საქმიანობაში შეძენილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამოყენებით. ორგანიზაცია მთლიანად მკაფიო და დასაბუთებულია.

1. პროგრამის საბოლოო ვერსია განხილულ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ, თუმცა დაგეგმვაში კლინიკური კურსების კოორდინატორების მონაწილეობის დოზა ბუნდოვანია ან არაა აქცენტირებული.
2. პროგრამა ნერგავს კლინიკური უნარების განვითარებას სწავლების ადრეული საფეხურიდან, რაც უფრო ინტენსიური ხდება მომდევნო სასწავლო წლებში. სტუდენტები შეიძენენ კლინიკურ/პრაქტიკულ უნარებს გარე (Medi Club Georgia) და უნივერსიტეტებში არსებულ სიმულაციურ ცენტრებში, რაზეც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რამდენიმე დიდ ჰოსპიტალთან, რამაც თეორიულად შეუძლია უზრუნველყოს აუცილებელი პიროვნული და ტექნიკური ფონი კლინიკური კურსის პროვაიდერების მცირე ჯგუფების პრაქტიკისათვის. რამდენად ეფექტიანად გაივლიან სტუდენტები კლინიკურ მომზადებას პაციენტებთან ჯერ ბუნდოვანია, რადგან პროგრამას ჯერ არ ჰყავს ჩარიცხული სტუდენტები ან კურსდამთავრებულები. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა თუ დამსაქმებელთა უკუკავშირები ხელმისაწვდომი არ არის.
3. სწავლების ენა ინგლისურია და სტუდენტთა დიდ უმრავლესობას (90%) არ ეცოდინება ქართული ენა კარგად. ეს მახასიათებელი შესაძლოა გახდეს ბარიერი, რომელიც შექმნის სიმძნელებს პაციენტებთან და მათ ნათესავებთან კომუნიკაციაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების დებულება, როგორც ეს მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში;
 - საგანმანათლებლო პროგრამა თვითშეფასების ანგარიშში;
 - სილაბუსები;
 - კურიკულუმის რუკა;
 - ვებ-საიტი;
 - აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულ ენოვან სწავლებას და კომუნიკაციის უნარს ქართულ ენაზე. საჭიროა კლინიკური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, კერძოდ, მათი ვინც ჩართულია შესაბამის კლინიკურ კურსებში და საწოლთან სწავლებაში. ეს გაზრდა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვის რეგულაციებისა და წლების მიხედვით დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის გათვალისწინებით.

მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მათი კომპეტენცია კურსებთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს და დადგინდეს.

დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს აფილირებულ ხელმძღვანელთა (პროფესორები, შესაბამისი ხელშეკრულებით) საჭირო რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 6 წლის განმავლობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას აქვს საგნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია და ასევე, სპირალური მახასიათებლებიც. PBL სემინარების ფარგლებში წარმოდგენილი კლინიკური შემთხვევები შედგენილია მიმდინარე სემესტრის კურიკულუმის არსებით ცოდნაზე (თუმცა, იმის იდენტიფიცირება თუ რა არის "არსებითი ცოდნა" უნდა იყოს უფრო გაძლიერებული). კურსების სილაბუსები ასახავენ საჭირო ცოდნის უმეტესობას, თუმცა, კლინიკური უნარები და მათთან ასოცირებული კომუნიკაცია და ეთიკური საკითხები აღწერილია გაცილებით ზერელედ. მიუხედავად ამისა, სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა უახლესია და ძირითადად უზრუნველყოფს განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

1. პროგრამა ითვლება დამთავრებულად, როდესაც სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 360 ECTS კრედიტს. კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის შედეგებს და ეროვნულ სტანდარტებს, მაგრამ თვითშეფასების თანახმად (მე-15 გვერდი) საკონტაქტო საათების საბოლოო ჯამი (4495) და დამოუკიდებელი მუშაობის საათები (4495) ნაკლებია ვიდრე 9000 საათი, რაც შეადგენს 360 ECTS კრედიტს. ეს გადახრა უნდა გამოსწორდეს.

2. კლინიკური მუშაობა (1314 საათი) მოიცავს კლინიკური უნარების გამომუშავებას სიმულირებულ ან/და კლინიკურ გარემოში. აქედან, 13 ECTS (=325 საათს) განაწილებულია კლინიკური უნარების გამომუშავებაზე სიმულაციურ ცენტრებში. ეს ნიშნავს, რომ 1314 - 325 = 989 საათი გამოყენებულ იქნება კლინიკური კურსებისათვის საწილთან სწავლებით. სიმულაცია და სტუდენტებისათვის სიმულაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა შეესაბამება კარგ გამოცდილებას, მაგრამ მიზანი არ უნდა იყოს ამ in vitro მეთოდებზე მეტისმეტი დაყრდნობა.

3. გარდა ამისა, სამეცნიერო უნარების გამომუშავებისათვის საერთო ჯამში 22 ECTS კრედიტია (550 საათი) დაგეგმილი. თუ შესაძლებელია, ეს დაახლოებით 1:2 თანაფარდობა უნდა გამოსწორდეს, კლინიკური სწავლების ხვედრითი წილის გაზრდით.

4. პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საოჯახო მედიცინა და მენტორობა დაგეგმილია უკანასკნელ სემესტრებში, რაც შეესაბამება კარგ პრაქტიკას. თუმცა, მენტორობის შერჩევის წესები, საჭირო კვალიფიკაცია უფრო დეტალურად უნდა იქნეს დადგენილი.

5. სტუდენტები შეისწავლიან ძირითად სიცოცხლის მხარდაჭერას (BLS) მე-4 სემესტრის დასაწყისში, მაშინ როდესაც "მოწინავე კარდიოვასკულური სიცოცხლის მხარდაჭერას" და "პედიატრიულ მოწინავე სიცოცხლის მხარდაჭერას" (ACLS/PALS) მე-8 სემესტრში. ეს კარგი პრაქტიკაა, მაგრამ რეკომენდებულია BLS კურსის უფრო ადრე დაწყება (ეს აძლევს

სტუდენტებს შესაძლებლობას რომ გამოიმუშაონ ძირითადი კლინიკური და საკომუნიკაციო უნარები განათლების ადრეულ ეტაპზე).

6. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ზოგადი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებისადმი ხელმისაწვდომობას (ანუ ბიზნესის მენეჯმენტს) - აქ მიზანი და ECTS კრედიტების რაოდენობა უნდა დაზუსტდეს.

7. გარდა ამისა, როგორც ჩანს ცალკეულ კურსებსა და საგნებს შორის არსებობს გადაფარვა და დუბლირება; ეს ფრთხილად უნდა გადამოწმდეს და თუ საჭირო გახდა - შეიცვალოს. რამდენიმე მაგალითი მოყვანილია ქვემოთ (მაგ: ჭრილობები, ტრანსფუზია და რენიმაციის კურსები):

- ჭრილობის შეხორცება შედის კლინიკურ უნარებში II, ისევე, როგორც ქირურგიაში;
- ქირურგიაში, V სემესტრის ბოლოს, სტუდენტს შეეძლება ინფილტრაციული ანესთეზიისა და კანის გაკერვის განხორციელება პრაქტიკაში, მაშინ, როდესაც IX სემესტრში (ანესთეზიოლოგია), ისწავლება ადგილობრივი ანესთეზია და BLS + ტკივილის მართვა (რომელიც შემდგომში იქნება დამოუკიდებელი საგანი); ანესთეზია მეანობაში მეორდება მეანობის კურსში;
- სისხლის გადასხმა შედის ქირურგიაში და ასევე კლინიკურ უნარებში III, მაგრამ იგი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი პრაქტიკული საგანი ან ქვე-თავი ჰემატოლოგიაში, როგორც ეს ბევრ ქვეყანაშია და სხვ.

8. ჯგუფებში დაგეგმილი სტუდენტთა რაოდენობა ადეკვატურია. სტუდენტის-ტუტორის კარგი თანაფარდობა უნდა შენარჩუნდეს ყველა სასწავლო მოდელში და განსაკუთრებით კლინიკურ სწავლებაში (მცირე ჯგუფები იძლევა უფრო პერსონალიზებული სწავლების საშუალებას).

9. განსაკუთრებული შენიშვნა უნდა გაკეთდეს ისევ ქართული ენით სარგებლობის თვალსაზრისით. გასაგებია, რომ საოჯახო მედიცინა წარმოადგენს პროგრამის სტრატეგიულ ნაწილს. სტუდენტების უმეტესობა ვერ ისაუბრებს ქართულად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის სირთულეები. ამ კუთხით, სამედიცინო ეთიკა, პაციენტის კონფიდენციალურობისა და ავტონომიის სწავლება, ყოველთვის უნდა გაძლიერდეს როლური მოდელირების ქცევით კლინიკური პრაქტიკის განმავლობაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა (თვითშეფასების ანგარიშში)
 - სილაბუსები
 - კურიკულუმის რუკა
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

უნდა დადგინდეს კლინიკური მენტორის დასახელების წესები, კვალიფიკაციისადმი მოთხოვნები. პრე-კლინიკური სიმულაციის პრაქტიკა მისაღებია, თუმცა კლინიკურ საგნებში სტუდენტთა ხელმისაწვდომობა რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ხოლო საწოლთან პრაქტიკულ სწავლებისათვის გამოყოფილი დრო - განსაზღვრული. კონკრეტულ კურსებს ან საგნებს შორის გადაფარვა თუ დუბლირება ყურადღებით უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში ჩასწორდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

კლინიკური მუშაობა მოიცავს კლინიკური უნარების განვითარებას სიმულირებულ ან/და კლინიკურ გარემოში. სიმულაცია და სტუდენტებისათვის სიმულაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა შეესაბამება კარგ გამოცდილებას, მაგრამ მიზანი არ უნდა იყოს ამ in vitro მეთოდებზე მეტისმეტი დაყრდნობა. თუ შესაძლებელია, უნდა გაიზარდოს კლინიკური სწავლების წილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში არ ეხება

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურიკულუმი პირველივე დღიდან დაფუძნებულია პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებზე, ხოლო კვლევითი უნარების გამომუშავება, ასევე, წარმოადგენს დაწესებულების დეკლარირებულ მიზნებს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა კარგადაა ჩართული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული სწავლების სტრატეგიების დანერგვა პრეკლინიკურ კონტექსტში ნამდვილად უწყობს ხელს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს და აძლიერებს ცოდნისა და უნარების დაუფლებას. ფაკულტეტს გააჩნია კვლევაში წარმატების კარგად აღიარებული კლასტერი, მაგრამ დღეისათვის ეს საგნები არაა საკმარისად დაკავშირებული მედიცინასთან და საჭირო იქნება მისი უკეთ დაკავშირებასხვა სასწავლო და ჯანდაცვის ერთეულებთან, კავშირის გაძლიერება კლინიკურ პრაქტიკასთან. მიუხედავად ამისა, სტუდენტებს ნამდვილად ექნებათ ბევრი შესაძლებლობა ექსტრაკურიკულურ კვლევით აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

1. გარე და შიდა უნარების ცენტრების ამჟამინდელი სამუშაო გამოცდილება ადეკვატურად საკმარისია, თუმცა რაც შეეხება დაწესებულების საკუთარ ცენტრს - იგი საჭიროებს შემდგომ განვითარებას, მაგალითად სამედიცინო კომუნიკაციის სწავლებაში, პაციენტის ანამნეზის მოკრებაში და სიმულაციური პაციენტების ფიზიკურ შემოწმებაში (ქართულ ენაზე).

2. დღეისათვის რეანიმაციის/პირველი დახმარების სასწავლო კურსი ინტეგრირებულია კლინიკური უნარების სასწავლო კურსში როგორც სავალდებულო მოდული და წარმართება Medi Club Georgia-ს სასწავლო ცენტრის მიერ. ამ კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იღებს American Heart Association-ის სერტიფიკატს, რაც დღეისათვის კარგი პრაქტიკაა. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია, რომ სტუდენტებმა, ასევე, შეისწავლონ Basic Life Support და European Resuscitation Council (ERC) სახელმძღვანელოს მიხედვით სხვა ელემენტებიც (იხილეთ <https://www.erc.edu/about>) დაწესებულების საკუთარ ცენტრში უფრო მეტი დროის განმავლობაში. აქ, პროცედურული უნარები შეიძლება შეფასდეს ინდივიდუალურად სტანდარტული სიხშირით: კომპეტენცია და გადამზადების საჭიროება შეიძლება ასევე გადაფასდეს შესაბამის დროის ინტერვალებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (თვითშეფასების ანგარიშში)
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>საჭირო იქნება ფაკულტეტის კვლევით ერთეულის უკეთესი კავშირების დამყარება სხვა სასწავლო და ჯანდაცვის ერთეულებთან, კავშირის გაძლიერება კლინიკურ პრაქტიკასთან.</p> <p>კლინიკური გარემოდან კლინიკურ კვლევაში თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა მიზანშეწონილია ახალი ფაკულტეტისათვის სწავლების სტრატეგიის გარდა მეცნიერების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა. სქემები უნდა განხორციელდეს საუკეთესო კვლევისა და სწავლების აღიარებისათვის, მაგალითად, სწავლებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების მეშვეობით.</p> <p>რეკომენდებულია დაწესებულების საკუთარი უნარების ცენტრის სტრატეგიის შემუშავება.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ პროგრამა ახალია, ხოლო სტუდენტთა გამოხმაურებები ჯერ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ეს კრიტერიუმი, როგორც სჩანს, სრულადაა განხორციელებული. სწავლების პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, გამოყენებული სწავლებისა და სწავლის დამხმარე მეთოდები თანამედროვეა, შეესაბამება პროფესიულ და სამეცნიერო მოთხოვნებს და შესატყვისია სწავლის შედეგების მისაღწევად. ზედამხედველებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის ინტენსივობა როგორც სჩანს შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფი დათანხმდა, რომ სტუდენტი-ტუტორის კარგი თანაფარდობა, სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში იქნება ადეკვატური; კარგად დადგენილი და ინოვაციური სწავლებისა და შეფასების მეთოდები იქნება განხორციელებული; კერძოდ, PBL, OSCE-ები, პრაქტიკული აქტივობები სიმულაციურ ცენტრებში, ისევე, როგორც კვლევითი ლაბორატორიების გაფართოებული გამოყენება. ყოველივე ეს ამკარად მიუთითებს დაწესებულების ვალდებულებაზე დანერგოს საუკეთესო პრაქტიკები. მოკლედ, დაგეგმილი სასწავლო პროცესი შესაბამისია ჩარიცხული სტუდენტების მიერ საჭირო შედეგების მისაღებად.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (თვითშეფასების ანგარიშში)
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ ეხება
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების მეთოდები და პრაქტიკები თავსებადია საგანმანათლებლო ამოცანებთან და ხელს უწყობს სწავლებას; შესაბამისად დაკმაყოფილებულია ძირითადი სტანდარტი, თუმცა შეფასების მოდელის საიმედოობა და სანდოობა გადაწყდება პროგრამის დაწყების შემდეგ. მიუხედავად ამისა, შეფასება მრავალ-კომპონენტანია და შეუძლია უზრუნველყოს ყველა კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, ასევე, არსებობს მტკიცებულება, რომ შეფასება ემყარება გაზომვად კრიტერიუმებსა და კომპონენტებს. კონკრეტულად, პროგრამა იყენებს პორტფოლიოს, ობიექტურ სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდებს (OSCEs), მინი-კლინიკურ შეფასებებს (Mini-Cex), პროცედურული უნარების პირდაპირ დაკვირვებას (DOPS), თეზისების პრეზენტაციას და სხვ. შეფასების ეს მეთოდები შეესაბამება სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცოდნისა და კომპეტენციის გაზომვას, არამედ, ასევე, უზრუნველყოფს გამოხმაურებას როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიმართ. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს ექნება გასაჩივრების რეალური შესაძლებლობა.

კურსის ფარგლებში შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისათვის წინასწარაა ცნობილი ელექტრონული სისტემის ("არგუსის") მეშვეობით. აქვე უნდა იქნეს დამატებული, რომ პროფესორ-მასწავლებლების სისტემატური პროფესიული განვითარების მოდული, ასევე, ხორციელდება დაწესებულების მიერ, რაც ითვლება საუკეთესო პრაქტიკად (პროგრამებს ეწოდებათ "აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში", "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უახლესი სასწავლო გარემოს შექმნის შეფასების მექანიზმები" და "ცვლილება საკლასო ოთახში: ხელი შეეწყოს ინოვაციურ სწავლებასა და სწავლას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად"). ეს ინიციატივები ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის ცოდნას

თანამედროვე
პედაგოგიური / შეფასების მეთოდოლოგიებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (თვითშეფასების ანგარიშში)

<ul style="list-style-type: none"> • სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ ეხება
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატური და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებას აქვს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს სტუდენტთა დასაქმებასა და მათ კარიერულ განვითარებაზე, ისევე, როგორც სტუდენტთა დახმარებას საუნივერსიტეტო და ქვეყნის მასშტაბით პროექტებსა და აქტივობებში; იგი ელექტრონულად (ელ-ფოსტით ან "არგუსით") აწვდის ინფორმაციას რიგ საერთაშორისო პროექტებზე, გაცვლით პროგრამებსა და ღონისძიებებზე. საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი ზედამხედველობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობას და სთავაზობს სხვა დახმარების სერვისებს.</p> <p>განათლების ნებისმიერ ეტაპზე სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა; მათ შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია პროგრამისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან მთელი სემესტრის განმავლობაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ვებ-საიტი • აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი არ ეხება</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>არ ეხება</p>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ ეხება
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებულ ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ამ პუნქტში (HR) პრე-კლინიკური სწავლის პერიოდში ხარვეზები არ იქნა იდენტიფიცირებული. უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ტუტორების კვალიფიკაციამ. პროგრამის ხელმძღვანელი უაღრესად გამოცდილი და დარგის ცნობილი სპეციალისტია.</p> <p>1. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამას; არსებული დატვირთვები ადეკვატურია; სტუდენტებისა და ტუტორების თანაფარდობა მისაღებია პროგრამის პირველი წლისათვის. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, სამეცნიერო აქტივობებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მხარდაჭერის აუცილებლობას, და განათლებისა და სამეცნიერო ხარისხზე დაყრდნობით შეფასებას.</p> <p>2. სწავლების პროცესში მონაწილე ფაკულტეტის წევრები შეაფასეს სტუდენტებმა იმ სისტემით, რომელიც კარგად მუშაობს. მიუხედავად ამისა, ამჟამად არ არსებობს კლინიკურ პედაგოგთა მომავალი საქმიანობის მტკიცებულება, რაც მიუთითებს კლინიკური სწავლების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების საჭიროებაზე, მაგალითად, საექსპერტო მიმოხილვის სიტემის გამოყენებაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ვებ-საიტი • აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პრაქტიკული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა უნდა ხორციელდებოდეს შესაფერისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რომელსაც გააჩნია არსებითი სტაჟი და აქვს უნარი გაუზიაროს უნარები და ცოდნა სხვებს. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დაფიქსირებული პირად ჩანაწერებში. ასევე აუცილებელია, დატვირთვის მინიმუმის და აკადემიური კვალიფიკაციის რეგულირება კლინიკური პედაგოგიური პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალი სისტემატურად და მუდმივად ფასდება ადმინისტრაციის მიერ, სტუდენტთა კითხვარებისა და კოლეგების შეფასების გამოყენებით. შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას მატერიალური და ფინანსური რესურსების მიწოდებით. მაგალითად, სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშავებისას, დაწესებულება გახდა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) წევრი და პროგრამის მენეჯერმა გაიარა AMEE-ს ტრენინგი. მან ასევე მიიღო სერტიფიკატი "სამედიცინო განათლებაში საჭირო უნარები". აღსანიშნავია, რომ პროგრამის თანახმდმდვანელი არის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ტრენინგში და პროგრამის აკადემიური პერსონალისა და კლინიკური განათლების პროცესების მენეჯმენტის შეფასების მეთოდებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თანამშრომლობს პეტრე შოთაძის სამედიცინო აკადემიასთან და დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან. თანამშრომლობის ფარგლებში 2018 წლის ნოემბერში უნივერსიტეტმა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად განახორციელა PBL-ის 4 პედაგოგის ტრენინგი. გარდა ამისა, 2019 წლის მარტში სამმა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი სამედიცინო განათლების შეფასების საკითხზე პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში. უფრო მეტიც, სხვა სამედიცინო სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტი გეგმავს PBL-ის ერთობლივი საექსპერტო ჯგუფის შექმნას. ეს ექსპერტები გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და სასწავლო რესურსებს, რაც აამაღლებს სწავლების დონეს. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალს, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, კვლევასა და კონფერენციებში. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების საფუძველზე უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას. მონაცემთა შეკრების შემდეგ ხდება პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება და იგეგმება პრობლემების მოგვარება ტრენინგების მეშვეობით. მაგალითად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული და ისეთი რესურსების გამოყენების ტრენინგის მოდული, როგორებიცაა: "აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" (INTEGRITY), "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უახლესი სასწავლო გარემოს შექმნის შეფასების მექანიზმები" (ASSET) და "ცვლილება საკლასო ოთახში: ხელი შეეწყოს ინოვაციურ სწავლებასა და სწავლას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად" (PRINTeL).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- AMEE-ს წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- საერთაშორისო პროექტების დეტალური აღწერა; ERASMUS+ CBHE პროექტები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი სასწავლო გარემოს შეფასების ინსტრუმენტები (“ASSET”); ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლების ხელშეწყობა; სტუდენტთა სწავლის გამოცდილების გაზიარების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (“PRINTeL”) აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის საქართველოს უსდ-ებში (“INTEGRITY”).
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერა;
- ილიას უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესები;
- გაცვლითი პროგრამები: <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/sagareo-urtiertobebis-samsaxuri-208/gacvliti-programebi>
- განვითარების ოფისის, საგარეო საქმეთა ოფისის და გამოკითხვების კოორდინაციის ოფისის დებულებები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მომსახურებით კმაყოფილების კვლევების ინსტრუმენტები.
- კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესები.
- მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ ეხება
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტი ფლობს კურსულუმის განსახორციელებლად საჭირო მთელ ინფრასტრუქტურას, სასწავლო აღჭურვილობას და სათანადო სარგებლობის ოქმები შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. სხვათა შორის, მას აქვს კარგად აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები პროექტორებითა და კომპიუტერებით და სიმულაციის ცენტრი, საკმარისი სამუშაო ფართი სტუდენტთათვის, მათ შორის თავისუფალი ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკის სამუშაო ადგილებთან. საერთო ჯამში, სტუდენტებს გააჩნიათ მასტიმულირებელი სასწავლო გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, ფართითა და შესაძლებლობებით თანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობისათვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, შეხვედრებისა და სასწავლო ოთახებს, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, ჟურნალებსა და ელ-წიგნებზე. IT აღჭურვილობის მდგომარეობა და ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტის გარეთაც. კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა საერთო სარგებლობის ელ-ფოსტა და საგანმანათლებლო სისტემა "არგუსი". ამ საშუალებებით საუნივერსიტეტო საზოგადოება იღებს უახლეს ინფორმაციას და აქვს სწრაფი ონლაინ გამოხმაურების შესაძლებლობა. "არგუსის" მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ იგი ეხმარება სტუდენტებს მათი სასწავლო პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო გრაფიკის და სასწავლო მიღწევების ორგანიზებაში. ამის გარდა, ელექტრონული სწავლების მეთოდი გამოიყენება ელექტრონული პორტალის "Moodle"-ის დახმარებით. იგივე შეფასებაა ძალაში სასწავლო პროცესში ჩართული პარტნიორი კლინიკური დაწესებულებებისათვისაც; უმთავრესი პრაქტიკული სწავლების ბაზები ჰოსპიტლებში რეგულარულად შეფასდება პრაქტიკული ტრენინგის პროგრამასთან დაკავშირებით მათი ხარისხისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ვიზიტი ბიბლიოთეკაში. ○ მატერიალური და ტექნიკური რესურსების ადგილზე ინსპექტირება, მათ შორის კვლევითი ლაბორატორიები, სალექციო ოთახები, აუდიტორიები ○ სამედიცინო ცენტრის “Innova”-ს მონახულება ○ Medi Club Georgia-ს სიმულაციის ცენტრისა და ინსტიტუტის უნარების ცენტრის მონახულება ○ კურსების სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ადგილზე ინტერვიუები პედაგოგებთან
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინფორმაცია მოკლევადიან ბიუჯეტზე, კონკრეტულად გამოყოფილი მედიცინის პროგრამის შესამუშავებლად, წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ ფინანსური რესურსების ზუსტი და დეტალური გამოთვლები პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისათვის არაა ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის მომზადება და რესურსების მენეჯმენტი განხორციელებულია ზედმიწევნით ყურადღებით და პროგრამის დაწყებისათვის ბიუჯეტი დაბალანსებულია. ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის წევრებთან ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, არსებობს ძლიერი ფინანსური მართვის საფუძვლები, აქცენტი ხარჯების ეფექტიანობის გაზრდაზე და შემოსავლების ახალი წყაროების მოზიდვაზე, რაც ერთიანად უზრუნველყოფს ახალი პროგრამის მომავალსადმი ნდობას. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას გასცემს, რომ ფაკულტეტმა განაგრძოს თავის ძალისხმევა ყოველწლიურად დაბალანსებული ფინანსური შედეგების მისაღწევად.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> o თვითშეფასების ანგარიში o ადგილზე ინტერვიუები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, ისევე როგორც სამედიცინო განათლების ინტეგრირება მთლიანად დაწესებულებისა და ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესები და საფაკულტეტო წესები ან გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო ერთეულებს შორის სახსრების შიდა განაწილების თაობაზე.</p>
<p>რჩევები პროგრამის განსავითარებლად:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის

მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც აფასებს

საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებს PDCA ციკლის საფუძველზე, როგორც მთელი უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის დონეზე. თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის ხელმძღვანელთა და პერსონალთან ინტერვიუების თანახმად, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან (QA), პერიოდულად უკუკავშირის მიღებითა და პირდაპირი კონტაქტით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ხარისხის უზრუნველყოფა აანალიზებს შეკრებილ ინფორმაციას და აძლევს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამის სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და პროგრამის ხელმძღვანელმა შეადგინეს თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა როგორც პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისაგან. სამუშაო ჯგუფმა შეაფასა პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან და განსაზღვრა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამ თვითშეფასების მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავა გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის სტრატეგია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა მონიტორინგის სისტემა, რომელიც აფასებს თითოეული კურსის მიღწევებს, კერძოდ, თუ როგორ მიიღწევა სწავლის შედეგები. მაგალითად, კლინიკურ დისციპლინებში სასწავლო პროცესის განმავლობაში თითოეულმა სტუდენტმა უნდა შეავსოს იმავე დისციპლინასთან დაკავშირებული კითხვარი.

დაწესებულება ეხმარება კურიკულუმის შემმუშავებელი ჯგუფის საქმიანობას, რომელიც შედგება დაახლოებით 20 აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. მიმდინარე პროგრამის შემუშავების მსვლელობაში, ამ ჯგუფს ჰქონდა 3 საკონტაქტო შეხვედრა, სადაც სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო სადისკუსიოდ და დოკუმენტები გაზიარებულ იქნა (აიტვირთა Google drive-ზე) ერთდროულად კორექტირებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია ემყარება შემდეგ აქტივობებს: მზადდება ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები და ეგზავნება პროდუქტის მიწოდებაში მონაწილე ყველა მხარეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროცესის ყველა საფეხურს - კონკურენციას, სწავლის დამთავრებას, დასაქმების ინდექსს, აკადემიურ შესრულებას. პროგრამის ბოლოს, სტუდენტი აფასებს პროგრამას, რაც იძლევა პროგრამის სრულ სურათს, შემდგომ შედეგები ფასდება სტატისტიკურად. ეს არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მონაცემებია. სტუდენტთა გამოკითხვები, რომლითაც ყურადღება მახვილდება სასწავლო გარემოს სტუდენტთა აღქმის რამდენიმე ასპექტზე, რეგულარულად გროვდება სხვა ინფორმაციასთან ერთად და შედეგები ანალიზდება. ამ გამოკითხვების მონაცემები წარმოადგენს მთავარ წყაროს იმ რეკომენდაციებისთვის, რომლებიც ემსახურება სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებასა და მასში ცვლილებების განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი კვლევითი ინსტრუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>განყოფილებების უფროსებს შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიური ანგარიშები, რომელთაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოსთან.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>სრულადაა გათვალისწინებული რეკომენდაციები ექსპერტთა წინა ანალიზიდან (2018წ.).</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

წინა შეფასების დროს ჩამოყალიბებული რეკომენდაციებს (2018 წელს) მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო და იქნა გათვალისწინებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულების მენეჯმენტი სრულად აღიარებს ასეთი გარე შეფასების მნიშვნელობას. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა პროგრამის დაინტერესებული მხარეების დეტალური სია, რითაც გაგებულ იქნა, რომ ყველა ეს მხარე ჩართული იყო პროგრამის განხილვასა და შემუშავებაში.

გარე შეფასების პროცესები ხორციელდება რეგულარულად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა წარუდგინა "მედიცინის" პროგრამა გარე შეფასებისათვის მრჩეველთა საბჭოს ქართველ და უცხოელ წევრებს. პროგრამის შეფასება და გამოხმაურება ასევე განხორციელდა ადგილობრივი/უცხოელი დამსაქმებლებისა და ექსპერტების მიერ. ყველა წარმოდგენილი შეფასება იყო დადებითი, თუმცა მიმომხილველებს ჰქონდათ ზოგიერთი რეკომენდაცია, რომლებზეც იმსჯელებს პროგრამის ხელმძღვანელმა და კურიკულუმის შემუშავების ჯგუფმა და ეცადნენ პრობლემების მოგვარებას. მაგალითად, ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში. გაუმჯობესებისათვის ჩამოყალიბდა ფოკუს ჯგუფი დამსაქმებელთა მონაწილეობით და მათი შეხედულებები და კომენტარები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მომზადების შემდეგ ფაზაზე. უფრო მეტიც, მიმოხილვის სხვა რეკომენდაციები (ჟენევის უნივერსიტეტიდან) ეხებოდა აკადემიური პერსონალის ჩართულობას კლინიკურ მიმართულებებში. საპასუხოდ, დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი რიგ კლინიკურ დისციპლინებზე. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ფაკულტეტს აქვს მჭიდრო კავშირები რიგი კლინიკური სასწავლო ერთეულების მენეჯმენტთან, რომლებიც იქნებიან ამ პროგრამის "გარე მიმომხილველები" და ამ გზით მენეჯმენტი მიიღებს მუდმივ გამოხმაურებას პროგრამის ხარისხსა და განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება 'მედიცინის' საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის;
- ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მიერ პროგრამის შეფასებები;
- წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ანგარიშის პროექტი.
- ანგარიში ჟენევის უნივერსიტეტიდან.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ ეხება
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება გლობალურ კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც პერიოდულ მონიტორინგს სისტემატური გამოკითხვებით/შეფასებებით, ისე საჭიროებაზე დაფუძნებულ შეფასებას. მაგალითად, კლინიკური სწავლების მონიტორინგისა და შეფასების კონცეფცია შემუშავდა კლინიკური პრაქტიკის მონიტორინგისათვის, რაც ნიშნავს სპეციალური პლატფორმის დაწყებას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ და მოემზადონ კლინიკური პრაქტიკისათვის. კონცეფცია შექმნილია ელექტრონული პორტფოლიოს ჩართვით, რაც იძლევა არტიფაქტების/მასალების ჩამოტვირთვისა და/ან ატვირთვის საშუალებას. პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პორტფოლიოს კომიტეტის წევრებს შეუძლიათ პლატფორმის მონიტორინგი.

საჭიროებაზე დაფუძნებულ შეფასება დაკავშირებულია და გამოიყენება კონკრეტული პრობლემისათვის და განხორციელდება დეტალური გამოკითხვის ჩასატარებლად კონკრეტულ პრობლემაზე. მაგალითად, ასეთი შეფასების ობიექტი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი, უცხოელი სტუდენტი/ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და სხვ.

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება რეგულარულად სისტემატური შიდა ხარისხის შეფასების ჩარჩოებში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლას წელიწადში ორჯერ. მთელი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ხორციელდება ეფექტიანი IT სისტემის "არგუსის" დახმარებით. ეს IT სისტემა იძლევა აუცილებელი მონაცემების შეკრების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა კმაყოფილება და დამსაქმებელთა გამოკითხვები ასევე ხორციელდება იგივე პრინციპით (ფაკულტეტი ატარებს სტანდარტულ სტუდენტთა გამოკითხვას, რომელსაც სტუდენტები ავსებენ თითოეული კურსის ბოლოს). ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური მუშაობისათვის და პროგრამის შედეგების შეფასებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ტრენინგის პროგრამა სწავლის შედეგების შეფასებაზე. ეს ტრენინგის მოდულები გააღრმავებს პროგრამის ხელმძღვანელის, პერსონალის და ადმინისტრატორთა ცოდნას და აამაღლებს კომპეტენციებს სწავლის შედეგების შეფასებაში, მიზნობრივი ნიშნულების განსაზღვრაში და პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში. მიუხედავად ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შესაძლოა საჭიროებდეს დარგის (მედიცინის) შეფასებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ სტრატეგიას (მაგ: კომპეტენციაზე დამყარებული შეფასების გაუმჯობესება) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისადმი და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავებას საკითხებზე, რომლებიც განსხვავდება უნივერსიტეტისაგან და იქნება სპეციფიკური ფაკულტეტისთვის.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ინსტრუმენტები; ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ კლინიკური სწავლების მონიტორინგისა და შეფასების კონცეფცია ○ სწავლის შედეგების შეფასების სასწავლო მოდული. ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>არ ეხება</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე


მიჰალი ბოროში



სახელი, გვარი, ხელმოწერა -

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ია ფანცულაია



მაია ზარნაძე



ნიკა გვაზავა



ცოტნე სამადაშვილი

